ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

№ _____ 22.03.- 2022 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №4

რექტორის 2022 წლის 31 ინვრის N1 ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), აგრეთვე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ფორმის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება რექტორის 2022 წლის 31 ინვრის N1 ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), აგრეთვე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ფორმის შესახებ" და ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3 ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, 4 აპრილიდან უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) სტუდენტებისთვის მეცადინეობები განახლდეს დასწრებით ფორმატში (არადისტანციურ რეჟიმში), გარდა სტუდენტებისა, რომლებიც დამდეგ სემესტრში:

ა) სემესტრის დაწყებისას და ამჟამადაც იმყოფებიან ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

ბ) გაემგზავრებიან უცხოეთში სამკურნალოდ (დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის პირობით);

გ) გაემგზავრებიან უცხოეთში სპორტულ/საწვრთნელ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების მიზნით (დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის პირობით)"

2. სასწავლო პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაევალოს: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს, საგამოცდო ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლებს; ენების ცენტრს;

3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. განთავსება დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ირაკლი ბრაჭული